



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

7 მაისი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №129

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ურეკში მდებარე უძრავი ქონების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ურეკში მდებარე უძრავი ქონების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების (ს/კ №26/28/13/074. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1001 კვ.მ ნაკვეთის), რეგისტრაციისათვის მიემართოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს, რათა განახორციელოს წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზების საფუძველზე საკადასტრო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.

მუხლი 2. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურისტს გიორგი ხუროშიელს (პირ.№33001054782).

მუხლი 3. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალეკო მამეშვილი